საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 8 16 01275953

25/10/2016

ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქვალონის N1 საჯარო სკოლის ბალანსზე რიცხული შენობების დემონტაჟზე.

ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრს

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროში შემოსული თქვენი 13/10/2016 წლის N1228777 და 24/10/2016წ. N1267097 წერილების პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არ არის წინააღმდეგი, სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქვალონის N1 საჯარო სკოლამ, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს 21/10/2016წ. N1264359 წერილის გათვალისწინებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ბალანსზე რიცხული ამორტიზებული შენობა-ნაგებობების ჩამოწერა და დემონტაჟი განახორციელოს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სამეგრელო-გურია-ზემო სვანეთის მომსახურების ცენტრის თანხმობის შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ნებართვის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2010წ. 22 მარტის N82 და 2010წ. 13 აგვისტოს N239 დადგენილებებით დამტკიცებული წესის შესაბამისად.

დემონტაჟი საჭიროა განხორციელდეს „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების შესაბამისად, უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

დამატებით გაცნობებთ, რომ სადემონტაჟო სამუშაოების სპეციფიკის გათვალისწინებით, შენობის დემონტაჟთან დაკავშირებული ყველა ეტაპი და საორგანიზაციო საკითხები უნდა შეთანხმდეს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან.

ამასთან, გაცნობებთ, რომ დემონტაჟის დასრულების შემდგომ, საჯარო სკოლამ უნდა განახორციელოს ცვლილებები რეგისტრირებულ მონაცემებში (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საკადასტრო გეგმა) და ცვლილებების ამსახველი დოკუმენტაცია წარმოადგინოს საქართველოს განათლებისა და მეენიერების სამინისტროში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დემონტაჟის შემდგომ დაგეგმილია მშენებლობის პროცესი, ზემომოთხოვნილი ცვლილებები უნდა განხორციელდეს მშენებლობის პროცესის დასრულების შემდეგ და სამინისტროში წარმოდგენილ იქნას საჭირო დოკუმენტაცია.

0102 ქ.თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. 52
52 Dimitri Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia, www.mes.gov.ge
ტელ/Tel.:(+995 32) 2 200 220

ეკონომიკური დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ლაშა საღინაძე

ადრესატები: **საქმისწარმოების სამმართველო ადმინისტრაცია**